წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ოთხშაბათი, 3 მარიამობისთვე 1916 წ. | № 172

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი ... პეტიტი ... კ. ... უკანასკნელზე — ... ვაგზალი ... დებულ განცხადებათა ფასი: ... კონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღლ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
**ფასი ერთად ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პროვინციებში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
ოთხშაბათს, 3 აგვისტოს
ქართულ დრამატ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება
I **ლოკოკინა**
ვოდ. 1 მოქმედ. თარგ. ა. იმედაშვილისა
II **ქარიშხალი**
კომ. 1 მოქ. ვ. გუნიასი
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. ქილარჯიშვილი. ბ-ნნი ვ. გუნია, ა. იმედაშვილი და სხვანი.
წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
სტუმრები საზოგადო წესით. (1—203—1)

## ახალი მელანი
### კოტე ონიკაშვილისა
**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში**
ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., ½ გირვანქა—50 კაპ. ¼ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.
**მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს**
**მისამართი:** ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსი**ტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბინაკში

## ვამზადებთ პიროგით
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მაცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-10)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
## ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სად. 5—7 ს. ვერის დალმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დ. ზესტაფონში
ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## მეხილეთა ამხანაგობა
## „ქართლის“ გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 3-ს მარიამობისთვეს თბილისში (გაბაანთ შესახვევი № 3) საღამოს ხუთ საათზედ დანიშნულია წევრთა
## საზოგადო კრება
**განსახილველია:**
1) წლიური ანგარიში და საქმის მდგომარეობა.
2) გამგეობის წევრთა არჩევნები.
3) მიმდინარე საკითხები.
თუ კრება არ შედგა, შემდეგი კრება მოხდება კვირას, 7-ს მარიამობისთვეს ქ. გორში, დილის 10 საათზედ და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (2—202—1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ
**„კაფე პარიზში“ შეიძლება.**
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — ხაჭაპური
პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით **სილ. ს. გიგიბერია.**

## თბილისი, 3 მარიამობისთვე.

**ვგ რისთვის?** ომის მესამე წელიწადში გადავედით. მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსების გვერდში, რუსისავე ჯარში, იბრძვის და სისხლსა ღვრის ქართველი მეომარი, სოფლის გლეხი, რომელმაც არამც თუ რუსული, არამედ ხშირად არ იცის წერა-კითხვა თვის დედა-ენაზედაც,—ეს ხომ საერთო ბედნიერებაა რუსეთის იმპერიის მკვიდრთა! რუსულის არცოდნას მისთვის ხელი არ შეუშლია თავგანწირვით და მამაცურად ეომნა, შესაფერისად ქართველი ერის მხედრული ტრადიციისა. არც მთავრობას უთქვამს უარი ჯარში ქართველის გაწვევაზედ, აქაო-და იგი რუსულის მცოდნე არ არისო.

მესამე წელიწადია, რომ იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელნიც ომის საჭიროებას ემსახურებიან, სხვებისავე გვერდით ქართველებიც სდგანან და მუშაობენ. ჯარის ზურგის უკან, თუ ზურგის წინ, ქალაქთა თუ ერობათა კავშირის სხვა და სხვა საქმეში ტრანსპორტია იგი, ლაზარეთი, საფორტიფიკაციო სამუშაო თუ სხვა რამ, დიდძალი ქართველობაა დაბანდებული, ქალი თუ კაცი. ეს ქართველები შინ დარჩენილი ქართველობის უფრო ფხიანი, მომქმედი და ჭაბუკი ნაწილია, სწავლა-განათლების სხვა და სხვა ხარისხის მატარებელი. იმას გარდა, რომ სამშობლო ენაზედ ყველა განათლებულია, რუსულიც ყველამ იცის. ზოგმა კარგად, ზოგმა ნაკლებად. აქ ნახავთ დაბალი, საშუალო და მაღალი განათლების ქართველს. აქამდის რუსული ენის **კარგად** არ ცოდნა ხელს არ უშლიდა, რომ ქართველ მოსამსახურეს, ქალი იყო იგი, თუ ვაჟი, ლაზარეთში იქნებოდა თუ ტრანსპორტში, მოევლო თავისივე ძმისათვის, მისსავითვე რუსულის **კარგად** არ მცოდნე დაჭრილის ლაზარეთში მწოლიარე ქართველი მეომრისათვის! მთელი ორი წლის განმავლობაში რუსულის **კარგად** არ ცოდნა ხელს არ უშლიდა არც იმას, რომ ქართულ მოსამსახურეს, ქალს თუ ვაჟს, ერთნაირი გულისყურით და სიყვარულით მიეხედნა აგრეთვე რუსისა თუ სხვა ეროვნების დაჭრილი მეომრისათვის, ან და ეკეთებინა სხვა დაკისრებული საქმე. ქართველები ამ მხრივ სხვებთან გათანასწორებულნი იყვნენ, და როგორც სხვები, ისე ქართველებიც თავიანთი გარჯით ომისათვისაც საჭირო საქმეს ასრულებდნენ, თავიანთ თავსაც ირჩენდნენ და ოჯახსაც შველოდნენ, რომლის მარჩენალი, სახელმწიფო ვალის მოსახდელად საბრძოლველად იყო გასული და ვინ იცის, იქნებ მოკლულიც.

დღეს ამ ორი წლის ომისა, მსხვერპლისა და მუშაობის შემდეგ, ქართველი მოსამსახურე, ვინც რუსულის **კარგი** მცოდნე არ არის, ერთხმად უსარგებლო შეიქმნა და ისიც მხოლოდ ქალაქთა კავშირის ლაზარეთებში. ცნობა გვაქვს, რომ გენერალ ბერნოს,

ბრძანება გაუცია, რომ ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების ლაზარეთებში დაეთხოვათ ყველა **ქართველი** მოსამსახურე, ვინც რუსულს თავისუფლად ვერ ლაპარაკობს. ჩვენ ყურადღებაც არ მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ეს განკარგულება პირადათ ბევრ მოსამსახურე ქართველს სხვაზე ადრე უსპობს არსებობის ნივთიერ წყაროს, არც იმას გამოუდგებით, რომ ამ განკარგულებით შეიძლება ბევრ დაობლებულ ქართველ ოჯახს, რომელსაც მარჩენალი წევრი ომში დაჰლუპვია და დღეს საზრდოობს რომელიმე ლაზარეთში იქნებ მოწყალების დათ მომსახურე თვის ასულის წყალობით, **ნაადრევად** ლუკმა ეკარგება; სათვალავში არ ჩავაგდებთ ამ ქონებრივ ზარალს, თუმც იგი დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მწვავე და საგრძნობელია. ეს ლაზარეთები მუდამ ხომ არ იქნებიან და იქ მოსამსახურენიც ერთ დღეს იძულებულნი გახდებიან სხვაგან ეძიონ სამუშაო.

არც იმას მივაქცევთ ყურადღებას, რომ „ის ქართველები, რომელნიც რუსულს თავისუფლად ვერ ლაპარაკობენ!! ერთობ ფართე თქმაა და აქ შეიძლება ბევრი თავისუფლად მოლაპარაკეც მოჰყვეს.

გაცემული ბრძანების უნიადაგობის დასასურათებლად არც იმ მოსაზრებას მოვიტანთ რომ ქალაქთა კავშირის ლაზარეთები დიდი ხანია არსებობენ და რომ მაშასადამე ვინც აქამდის იქ მსახურებს, რუსულის **კარგი** მცოდნეც რომ იყოს, საქმეში ჩახედულიც იქნება და გაწაფულიც და თავისი სუსტი რუსულითაც, რაც დღემდე ხელს არ უშლიდა თავის მოვალეობის აღსრულებაში, კარგ მორუსულეზე უფრო სასარგებლო იქნება. ამასა და ბევრ სხვასაც უყურადღებოდ დავტოვებთ, რადგან ხსენებული განკარგულება მარტო ამ მხრივ რომ გვეხებოდეს სამხედრო საჭიროებისთვის მომქმედ დაწესებულებებში მოსამსახურე ქართველებს, იგი გულს ვერ დაგვიწყლულებდა! ჩვენი ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა შეუხებელი და მთელი იქნებოდა ® ასეთ პირობებში ნივთიერ დანაკლისს კიდევ გაუძლებდით. მაგრამ როდესაც ქალაქთა კავშირის ლაზარეთიდან იმათგან, ვინც რუსულს თავისუფლად ვერ ლაპარაკობს, **მხოლოდ ქართველებს** ერეკებიან,

## მოსკოვის ქართულ ეკლესიისათვის

უცხოეთის დედაქალაქებში მყოფ ქართველთა ახალშენებს ჰმართებს თავიანთ ეროვნულ-კულტურულ მუშაობის დროს ერთნაირი ზრუნვა როგორც სკოლა-სამკითხველოზე, ისე საყდარზე.

მოსკოვის ქართველობას, რომელმაც უკვე მოაწყო თავისი საკუთარი ბინა, წიგნთსაცავი, სამკითხველო, საავადმყოფო (დაჭრილთათვის), ამ ჟამად სწორედ ქართული მრევლის და ეკლესიის საქმე აქვს მოსაგვარებელი.

თუ რა დიდია იქაურ ქართველებში სურვილი ღვთისმსახურებისა სამშობლო ენაზე,—ამას საკმაოდ ამტკიცებს ქართულად მოწყობილ პარაკლისზე დამსწრეთა უმრავლესობა. უკანასკნელმა ქართველთა საზოგადო კრებამ კიდეც იქონია ამაზე მსჯელობა და მიანდო მრევლის და საყდრის საქმის დამთავრება საზოგადოების გამგეობას.

ერთად-ერთი გარემოება, რომელიც აბრკოლებს და ანელებს გამგეობის თაოსნობას, ეს ქონებრივ საშუალებათა საკითხია: შენახვა საყდრის და მღვდლის ხარჯს მოითხოვს.

მაგრამ ამ მხრითაც შეიძლება საქმის მოგვარება, თუ მოსკოვის ქართველობის ხელმძღვანელნი გამოიყენებენ პეტრესქალაქის ქართველთა მაგალითს და ისარგებლებენ იმ გავლენიან პირთა დახმარებით, რომელნიც ქართველობის მეგობრებად ითვლებიან.

ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობის ცნობილმა დამცველმა ნიკოლოზ დურნოვომ ჯერ კიდევ გაზაფხულზე აცნობა მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას, რომ მან ისაუბრა მიტროპოლიტ პიტირიმთან ამ საკითხზე და გაიგო, რომ უკანასკნელი საჭირო დახმარებას არ დააყოვნებს მოსკოვში ქართული მრევლის მოწყობისათვის...

ამ ჟამად „პეტრ. უწყებებში“ დაბეჭდილია ნ. დ. წერილი, რომელიც ჩვენთვის საგულისხმო საკითხს შეეხება.

„ნახევარი საუკუნის წინად დაიხურა მოსკოვში ერთად-ერთი ქართული ეკლესია, სათეატრო ქუჩაზე, რომელიც ქართველი მეფის ასულს ეკუთვნოდა.

მას უკან მოსკოვში მოისპო ქართული ღვთის მსახურება... ახლა მოსკოვში ათასზე მეტი ქართველი სცხოვრობს, მათ ჰსურთ პეტრესქალაქის მაგალითით, მოაწყონ ცალკე ქართული მრევლი... პეტრეს ქალაქში ამისათვის ეკლესიაა ასაშენებელი, მოსკოვში კი არა ერთი გაუქმებული, „უზარო“ საყდარია, რომელიც შეიძლება გარდაეცეს ქართველებს... მოსკოვში, თვით შუაგულ ადგილას, კრემლის გვერდით არის უმრევლო ეკლესია, ღვთის მშობლის მიძინების სახელობისა, აშენებული მე-XVII საუკუნეში; აქ წელიწადში ათჯერ თუ სწირავენ; აი, სწორედ ეს საყდარი უნდა გადაეცეს ქართველებს.

რაც შეეხება კრებულის შენახვას, მღვდლის მაგიერ შეიძლება მოწვეულ იქმნას ბერი („იერომონახი“), რომელსაც ბინა იქვე ახლო მყოფ მონასტერში ექნება; საყდრის და ბერის შენახვას ათასი მანათი ეყოფა, რომელიც შეიძლება დაიფაროს, თუ აღმოჩნდება ქველმოქმედი, ეკლესიის მზრუნველი. ბატონ ნ. დ. მოსაზრებანი სრულიად სამართლიანია რაოდენათ იგი მღვდლის საკითხს ეხება, ვიმედოვნებთ, რომ ქართული საზოგადოების მესვეურნი ყურად იღებენ მათ; მხოლოდ თუ საქმე ეკლესიის პოვნამდე მივიდა, მოსკოვის ქართველებს უნდა ჰქონდეს თვალში ამოღებული სხვა გაუქმებული ეკლესია, წმ. გიორგის სახელობისა, რომელიც ქართულ უბანში („გრუზინ“-ში) იმყოფება; ეს ეკლესია უწინ ქართველების იყო და შემდეგ რაღაც საშუალებით სომხებს ჩაუგდიათ ხელში; მე პირადათ მახსოვს პროფ. ალ. ხახანაშვილის ნათქვამი: „ამ ეკლესიას როცა გვინდა მაშინ ჩამოვართმევინებთ მიტროპოლიტს სომხებისაგანო, მაგრამ ჩვენ რა შეგვემატება, რუსები მიისაკუთრებენ... ბარემ ისევ იმათ ჰქონდეთ, ვისაც აქვსო“... და თუ ახლა დრონი იცვალნენ და მიტროპოლიტი პიტირიმი და მისი მეგობარი თვითონ აგონებენ მოსკოვის ქართველებს, თქვენი მრევლი და ეკლესია მოაწყვეთო, დაე სწორედ იმ გაუქმებულს ეკლესიაში აღდგეს ქართული ღვთის მსახურება, რომელშიაც იგი უწინ ყოფილა.

გ. ვ.

## ეროვნული ვითარება

**სომხები და საზონოვი.** მოსკოვის ჟურნალი „არმიანსკი ვესტნიკი“ სწერს საგარეო მინისტრის გადადგომის გამო: „მთელ პროგრესიულ რუსეთთან ერთად ჩვენ, რუსეთის მოქალაქე სომხები ვწუხთ იმ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწის წასვლას, რომელსაც მიჰყავდა საგარეო პოლიტიკა ერთად-ერთ მართალ გზით; მაგრამ საზონოვის გადადგომა საგულისხმოა სომეხთათვის არა მარტო ამიტომ; საზონოვი დაიკავებს საპატიო ადგილს სომხეთის მატიანეში, რადგან იგი იღწოდა ოსმალეთის სომეხთათვის. მან უარჰყო უწინდელი რუსი დიპლომატების—თავად ლობანოვ რასტოვსკის და გალიცინის, სომეხთათვის მავნე მიმართულება... შეიგნო რა დიდი მნიშვნელობა ოსმალეთის სომხურ კითხვისა რუსეთის სახელმწიფოსათვის, საზონოვმა ბეჯითად მოჰკიდა ხელი რეფორმების შემოღებას ოსმალეთის სასომხეთოში და მიუხედავად გერმანეთის წინააღმდეგობისა, ინგლისის და საფრანგეთის დახმარებით, მიაღწია კიდეც 1914 წლის 26 იანვრის „შეთანხმებას“. ამან დიდად გააძლიერა სომხების სიმპატიები „მოსკოვის ბიძიასადმიო“ („ბიძიას“ თურმე სომხები რუსეთს ეძახიან). გამოიცვალა თუ არა საგარეო სამინისტროს სომხური პოლიტიკა ომის გამოცხადების შემდეგ—ეს ჩვენთვის უცნობიაო.

მეორე სომხური გაზეთი „აშხატანკი“ (უწინ ვანში გამოდიოდა, ახლა ერევანში იბეჭდება) უფრო ოპტიმისტურად უყურებს ამ საკითხს და ამგვარი სილოგიზმით მსჯელობს: „რაც მინისტრ საზონოვს გაუკეთებია, ყველაფერი მეფის ბრძანება იყოო, მაშასადამე, რაც სომხებისათვის მოიმოქმედა, ისიც მეფის სურვილია და მომავალშიც ასე იქნებაო“...

**თელავის სომხურ სკოლის** და ბავშვთა ბაღის გამგეს ქ ნ პოზოევას ორი წერილია დასტამბული „არმიანსკი ვესტნიკში“—ქონებრივ დახმარებას სთხოვს—თორემ სკოლა დაიხურებაო. რედაქცია მოუწოდებს მოსკოველ სომხებს, დაეხმარონ თელავის სკოლას, რადგან იგი ემსახურება კახეთში მცხოვრებ იმ სომეხთა ეროვნულ განვითარებას, რომელთაც სომხური ენა დაჰვიწყებიათო.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

აღმოსავლეთ ასპარეზზე და კავკასიის ბრძოლის ველზე მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. გალიციაში რუსეთის ჯარი წინსვლას განაგრძობს და ახლა უკვე მდ. ზოლოტაია ლიპის სიმაგრეებს მისდგომია. აღსანიშნავია მხოლოდ გერმანელების იერიში სოფ. სტობიხოვის სამხრეთით მდ. სტოხოდთან. საინტერესოა, რასაკვირველია, ვიცოდეთ, ამ შეტევას ადგილობრივი ხასიათი აქვს, თუ დასაწყისია იმ კონტრ-ოპერაციისა, რომელიც გერმანელები იძულებული არიან აწარმოვონ გალიციაში ავსტრიელების მდგომარეობის გამოსაკეთებლად. სოფელი სტობიხოვო კოველის წინა სიმაგრეთ უნდა ჩაითვალოს. თვით კოველის მიდამოებს იმდენად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს იმ საერთო ოპერაციისათვის, რომელიც ახლა სწარმოებს, რომ ძალიან ადვილად მოსალოდნელია სულ მცირე შეტაკება ამ ადგილებში ფართო ხასიათის ბრძოლად გადაიქცეს.

თქმა იმისი, ვითომ გერმანეთი იმდენად დაეცა და შესუსტდა, რომ დიდი ოპერაციის დაწყება აღარ შეეძლოს, ნაადრევი იქნება. მტრის ასეთ გვარად აბუჩად აგდება არც საკადრისია და არც სახეირო. პირიქით უნდა ველოდეთ, რომ ვილჰელმის მხედრობა ყოველ საშუალებას იხმარს, არაფერს დაიშურებს, უკანასკნელ ძალებს მოიკრებს და ბრძოლის ველზე მთელი თავის ძალღონით გამოვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჰინდენბურგი უსათუოდ სადმე დაიწყებს შეტევას. ადვილად შესაძლოა პირველ-ხანობით დემონსტრაციებით დაკმაყოფილდეს, სანამ ჯარების დალაგებას და გადაყვან-გადმოყვანას მოასწრებდეს. ასე ყოფილა წინადაც; თუ გადავავლებთ თვალს წარსულს, დავინახავთ, რომ ჰინდენბურგი ყოველთვის სცდილობდა რუსეთის ჯარის შეწუხებას, რათა როგორმე გალიციაში დამარცხებულ ავსტრიელების ჯარის მდგომარეობა გამოეკეთებინათ. პრუსიიდან რამოდენიმეჯერ შეტევის დაწყება და მერე უკან დახევა, ოსოვეცზედ განუწყვეტელი იერიშები, ავგუსტოვზე მრავალჯერ შემოსევა და მერე უკანვე წასვლა, ვარშავაზე განუწყვეტელი გალაშქრება, მემელით წამოსვლა და სხვა მრავალი იერიშები და დემონსტრაციები დამამტკიცებელია იმისა, რომ ჰინდენბურგი წვალობდა როგორმე რუსეთის ჯარის წინსვლა გაეჩერებინა კარპატებში და ვენგრია ეხსნა შესევისაგან. ჩვენ გვგონია, რომ ახლაც ამ ნაცადს ხერხს მიჰმართავს. ძნელი წარმოსადგენია გერმანეთის მხრივ ახლა უეცრივ გენერალურ ბრძოლის დაწყება. გინდაც რომ სავსებით მომზადებული იყოს ოპერაციისათვის, დრო ხელს შეუშლის. ვინც რუსეთს იცნობს, ადვილად წარმოიდგენს თუ რა დარები იცის მარიამობისთვის ნახევრიდან ვიდრე ყინვების დაწყებამდე. წყალდიდობა, წვიმები, უგზოობა, აუარებელი ტბები, ჭაობები—ყველა ეს საშინლად შეუშლის ხელს მოპირდაპირეს. მთავარ ოპერაციის დაწყება შეიძლება მხოლოდ ან ზამთარში ან ზაფხულში. აი ეს მოსაზრება შეძლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ გერმანეთისაგან უფრო მოსალოდნელია ახლა ფართო დემონსტრაციები, ან და ადგილობრივი ხასიათის, წმინდა ტაქტიკური შეტევა, ბრძოლის ხაზის გამოსასწორებლად, ვიდრე ფართო სტრატეგიული ოპერაციების დაწყება.

კავკასიის ბრძოლის ველზე ეტყობა მდგომარეობა უფრო მწვავდება. სპარსეთში რუსეთის ჯარი უკან იხევს ბრძოლით ხამადანიდან ჩრდილოეთით. სამაგიეროთ იერიშები მიაქვს საქიზის მიმართულებით და ოსმალებს უკან ახევინებს. საქიზის მიმართულებას მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის და იძულებული იქნება ჯარები მიიშველოს. დანარჩენ ადგილებიდან ცნობა არ მოსულა.

დასავლეთის ასპარეზზე ჩვეულებრივი პოზიციონური ხასიათის ბრძოლა სწარმოებს.

X.

# ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი**, 1 მარიამობისთვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. დ. სინიავკასთან მტრის მფრინავმა პრიამურის ლაზარეთს ყუმბარები ესროლა; ორი მოწყალების და და ერთი სანიტარი მოჰკლა და ორი მოწყალების და დასჭრა. სტობიხოვის სამხრეთით მტერმა 31 მკათათვეს სტოხოდის ნაპირებთან იერიშები გააცხოველა. ჩვენმა ჯარმა მტერი კონტრ-იერიშებით მოიგერია. მდ. სერეტის მიდამოებში ბრძოლა კვლავინდელ სიძლიერით სწარმოებს. აქ მოწინააღმდეგემ დასავლეთით მდებარე სიმაგრეებისაკენ დაიხია, ზარბაზნის სასტიკი სროლა ასტეხა და ჩვენ წინსვლას ხელს უშლის. მდ. სტრიპისა და კოროპეცის მიდამოებში ჩვენი ჯარი ბრძოლით ს. ზავალოვსასა და კორცოვასთან მდ. ზოლოტაია ლიპას მიუახლოვდა და მარიამპულთან დნესტრის ჩრდილოეთ ნაპირს მიაღწია. იარემჩეს, იალოვიჩარის და კირლი-ბაბის მიდამოებში, კარპატების ფერდოებზე მტრის იერიშები ყველგან მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ჩვენმა ფლოტილიამ ვანის ტბიდან მტრის სიმაგრეებს სროლა აუტეხა და სამხრეთ-დასავლეთის ნაპირთან უკან დაახევინა. სპარსეთში, საკვიზას ჩრდილოეთით, ჩვენ ოსმალების თხრილების ნაწილი ხელთ ვიგდეთ. ხამადანის ჩრდილოეთით ოსმალები შეტევას განაგრძობენ. ჩვენმა ჯავშნიანმა ავტომობილებმა ამ ქალაქის მიდამოებში მტერს დიდი ზარალი მიაყენეს.

**პეტროგრადი**, 1 მარიამობისთვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. სერეტის მიდამოებში ჩვენი რაზმები წინ იწევენ. ერთი ჩვენი პოლკი მდ. ლუხის მეორე ნაპირზე ფეხ და ფეხ გავიდა და მტერს თხრილები წაართვა. დილის 7 ს. ჩვენმა მფრინავმა ტკაჩოვმა მტრის მფრინავს თვალი მოჰკრა; პორუჩიკ ხრიზოსკოლეოს მეთვალყურეობით იგი უმალ აფრინდა, მტერს დაეწია, ორჯელ იერიშით ეკვეთა და ტყვიის მფრქვეველით სროლა აუტეხა. მტრის მფრინავი დაზიანდა და იძულებული იყო ძირს დაშვებულიყო. მფრინავი და მისი მანქანა, მეთვალყურითურთ ჩვენ ხელთ ვიგდეთ. ზოლოტოი ლიპის ბრძოლის პირზე ჩვენი ჯარი ბრძოლით მდ. ცენიუკის მარცხენა ნაპირს და ზოლოტოი ლიპას მიუახლოვდა და ზოგ ადგილას მეორე ნაპირს გავიდა. დნესტრის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ჩვენ შეტევას განვაგრძობთ. აქ სასტიკ ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სოფ. ტუსტობაბა აიღო. ამ ბრძოლაში მტერმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია და თავის სიმაგრეებიდან ტყვისმტყორცნელთა შემწეობით სოფელს თავგანწირვით იცავდა. 31 მკათათვეს, მდ. სტრიპაზე სოფ. ზბოროვის აღების დროს ბელგების ჯავშნიანმა ავტომობილებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. ქ. მონასტერჟისკას სიმაგრენი, რომლებიც ჩვენ 29 მკათათვეს ავიღეთ მეტად ძლიერი აღმოჩნდნენ. 5 წყება თხრილებისა ერთმანეთთან მიწის ქვეშ სავალ გზებით იყვნენ შეერთებულნი და ავტომატიურ თოფების სასროლად ცალკე შენობები იყო გამართული.

**პარიზი**, 1 მარიამობისთვე. ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით მორეპის მიდამოებში სასტიკი საარტილერიო ბრძოლა იყო. დანარჩენ ადგილებში ღამემ მშვიდათ ჩაიარა. სომმის სამხრეთით ესტრეს სამხრეთ-დასავლეთით ფრანგებმა თავისი ბრძოლის პირი გააფართოვეს. უაზისა და ენს შუა ზარბაზნის სროლაა. მაასის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე შეტაკება მოხდა. გერმანელები „304" სიმაგრის წინააღმდეგ იერიშის მოტანას ჰლამობდნენ, მაგრამ ტყვიისმფრქვეველთა შემწეობით შევაჩერეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგებმა ხელით სასროლ ყუმბარებით გერმანელების ორი იერიში მოიგერიეს.

**ლონდონი**, 31 მკათათვე. ოფიციალი. ბეზანტენ-ლე-პტის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ მორტენიუკის მიმართულებით წინ წავიწიეთ და მტერს თხრილები წავართვით.

**ლონდონი**, 1 მარიამობის. ოფიციალი. წუხელის გილემონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი იერიშებით გვეკვეთა, მაგრამ მოვიგერიეთ. პოზიერის მახლობლად მფრინავთა შემწეობით აღმოვაჩინეთ, რომ მტერი მონაკიუს მახლობლად იერიშებისათვის რაზმდებოდა. ჩვენ მას ზარბაზანი დაუშინეთ, უმალ გავფანტეთ და დარაზმვას ხელი შეუშალეთ. ჩვენმა მფრინავებმა მტრის თხრილებს ყუმბარები დაუშინეს და ერთ ადგილას რკინის გზის ლიანდაგი დააზიანეს.

**რომი**, 31 მკათათვე. ოფიციალი. გუშინ მდინარე იზონცოს მიდამოებში მონფალკონეს მახლობლად ჩვენმა მამაცმა ჯარმა „121" სიმაღლე აიღო და 1 კილომეტრით წინ წაიწია. ოპაკია-სელლის-აღმოსავლეთით ნადლოჯის მთაზე ჩვენმა ჯარმა მტერს სიმაგრეები წაართვა. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 1565 კაცი, ამათში 57 აფიცერია. ამას გარდა ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი და რამდენიმე ტყვისმფრქვეველი. გორიცის აღმოსავლეთით ჩვენ ავიღეთ „174" სიმაღლე ტივოლის დასავლეთით და 533 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. საერთოდ 24 მკათათვიდან დღევანდლამდის ტყვედ წამოვიყვანეთ 15,393 კაცი; ამათში 330 აფიცერი. ამას გარდა ხელთ ვიგდეთ 16 ზარბაზანი, მრავალი ტყვის მფრქვეველი და სამარი მასალა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### მონასტერჟისკის და სტანისლავოვის მნიშვნელობა.

სამხედრო მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ სტანისლავოვის და მონასტერჟისკის აღებას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვსო. რუსების ჯარის მარცხენა ფრთა გალიჩს უახლოვდება და ავსტრო-გერმანელებს მარჯვენა მხრით ეს მეტად ძლიერი სიმაგრე ხელიდან ეცლებათ. ამით კი რუსის ჯარს გალიციისკენ ფართო გზა გაეხსნებათ, მით უმეტეს, რომ მტრის ჯარს რუსები ზურგით უვლიან და შესაძლებელია მტერს გალიჩთან უყელონ, თუ, რა თქმა უნდა, ავსტრო-გერმანელებმა დროზე საჭირო ზომები არ მიიღეს და საჩქაროდ უკან დახევით თავისი ბრძოლის ხაზი არ შეასწორეს.

### ინგლისელ სამხედრო მიმომხილველის აზრი რუსების გამარჯვების შესახებ.

ცნობილი ინგლისელი სამხედრო მიმომხილველი რეპინგტონი ასე აღწერს რუსების ჯარების მოქმედებას ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში: „ბრუსილოვმა თავისი ბრწყინვალე შეტევა გერმანელების წინააღმდეგ დაიწყო მაშინ, როდესაც ამ ბრძოლის ხაზზე ავსტრო-გერმანელებმა აუარებელ ჯარს მოუყარეს თავი. მტერს აქ ჰყავდა 39 დივიზია ქვეითა ჯარისა და 11 დივიზია ცხენოსანთა რაზმებისა, ისე რომ ამ ასპარეზზე მომქმედ მტრის ჯარების საერთო რიცხვი 900,000 კაცს უდრიდა. ამას უნდა მიემატოს მარტო გერმანელებისაგან შემდგარი ჯარი, რომელიც მათ დასავლეთის ასპარეზიდან გადმოიყვანეს და რომლის რიცხვი შესდგება არა ნაკლებ 48 ქვეითი ჯარის და 10 ცხენოსანთა დივიზიისაგან, ე. ი. კერძოდ გერმანელებმა გენ. ბრუსილოვის წინააღმდეგ 600,000 კაცს მოუყარეს თავი.

ამ გვარად გენ. ბრუსილოვმა შეუტია 108 დივიზიისაგან შემდგარ მტრის ჯარს, რომელსაც ამასთანავე უამრავი არტილერია, ტყვის მფრქვეველი და სხვა მრავალი ტეხნიკური საშუალება ჰქონდა ხელთ. გენ. ბრუსილოვის და ინგლის-საფრანგეთის ჯარს პირობისამებრ ერთსა და იმავე დროს უნდა დაეწყოთ შეტევა, და ამით მტრისათვის ერთი ასპარეზიდან მეორეზე ჯარის გადაყვან-გადმოყვანის საშუალება მოესპოთ. ბრუსილოვმა საერთო შეტევა დაპირებულ დროზე ადრე დაიწყო: ამით მან, რა თქმა უნდა, საერთო გეგმის განხორციელებას სრულებითაც არ შეუშალა ხელი, პირიქით რუსებმა იტალეთის ჯარებს მძიმე მდგომარეობა შეუმსუბუქეს."

დასასრულ, რეპინგტონი ქებით იხსენიებს გენ. ბრუსილოვს და საერთოდ რუსების ჯარს, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ეს დიდ მნიშვნელოვანი შეტევა და ამით მოკავშირეთა შორის საერთო მოქმედებას და მეგობრულ განწყობილებას საძირკველი გაუმაგრაო.

### რუმინეთის ვითარება.

ბუქარესტის დიპლომატიურ და პოლიტიკურ წრეებში მეტად გამოურკვეველი მდგომარეობა დამყარდა. დღე-მუდამ მრავალი, ერთი-მეორის საწინააღმდეგო აზრი და მიმართულება აღელვებს რუმინელებს; მაგალითად, ამ მოკლე ხანში მარგილომანი და იონესკუ მეფესთან ყოფილან და ორივე მეტად კმაყოფილნი დაბრუნებულან. მეფის აზრი რუმინეთის გარეშე პოლიტიკის შესახებ მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩებსაც მოსწონებიათ. კმაყოფილნი არიან აგრეთვე ცენტრალურ სახელმწიფოთა ელჩნი ფონ-ბუში და ჩერნინი. ყველა ამათ იმედი აქვთ, რომ ამ მოკლე ხანში რუმინეთი ომში ჩაერევა, მაგრამ ვის ამოუდგება იგი გვერდში—ეს ჯერ კიდევ გამოურკვეველი რჩება.

### მთაშავეთის მეფე საფრანგეთის ასპარეზზე.

მთაშავეთის მეფე ამჟამად საფრანგეთის ასპარეზზე იმყოფება. იგი გენ. გუროს მომქმედ ჯარს სწვევია და რუსის და ფრანგების აფიცრებისათვის ჯვრები დაურიგებია. შემდეგ გენ. ლოხვიცკის შტაბში წასულა და იქ რუსების პოლკი დაუთვალიერებია. უკან დაბრუნებისას შეუნიშნავთ, რომ გერმანელების [illegible] მათ თავს [illegible]. მფრინავთათვის ფრანგების ზარბაზნებს სროლა აუტეხიათ. მეფე დურბინდით ადევნებდა თურმე თვალყურს მფრინავთა მოქმედებას და დიდად კმაყოფილი დაბრუნებულა უკან.

### სპარსეთის შაჰის მოწოდება.

რუსულ გაზეთების სიტყვით, სპარსეთის მთავრობა თეირანში გარკვეულ ხასიათის პოლიტიკას დაადგა. შაჰმა მოწოდება დაუგზავნა პროვინციელ ადმინისტრატორებს, რომელთაც უბრძანებს—აცნობონ ხალხს, რომ შაჰი და მისი მთავრობა რუსეთ-ინგლისის და სპარსეთის შორის მეგობრულ განწყობილების დამყარებას სცდილობს. ამიტომ სასტიკად დაისჯება ყველა, ვინც ამ ორ სახელმწიფოთა მტრებს რაიმე დახმარებას გაუწევსო.

### ბულგარეთი და საბერძნეთი.

ბერძნების ჯარმა ბულგარეთის და სერბეთის საზღვრებთან დამცველი რაზმები გააუქმა. საბერძნეთის ოფიციალი გაზეთები ირწმუნებიან, რომ გერმანელები მაკედონიაში 150,000 ჯარის კაცს უყრიან თავს და მალე მთელ ასპარეზზე შეტევას დაიწყებენო.

### პოლიტიკური თათბირი გერმანეთის მთავარ-შტაბში.

გერმანელების მთავარ-შტაბში ერთ-და იმავე დროს სამხედრო და პოლიტიკურ ხასიათის თათბირები ხდება. პოლიტიკურ საკითხების განსახილველად მოწვეულ იქმნენ სხვათა შორის ბეტმანი, იაგოვი, ანდრიაში, და სხვ., მომეტებულ ყურადღებას თათბირი პოლონეთის და რუმინეთის ვითარებას აქცევს. რუმინეთის სრულ დაკმაყოფილების მომხრენი მეტ წილად გერმანელები არიან. ავსტრო-ჰუნგრეთის წარმომადგენელნი წინააღმდეგნი არიან რუმინეთს თავისი ტერიტორია დაუთმონ და ამით იგი ცენტრალურ სახელმწიფოების მოკავშირედ გამოაცხადონ. ავსტრიელების აზრით, თუ რუმინეთის პოლიტიკური მოღვაწენი ღირსეულად დააფასებენ მომენტს, მაშინ მათთვის კომპენსაციების დაპირება მეტაა; თავისი ჯარი რუმინეთმა რაც შეიძლება მალე უნდა ამოუყენოს გვერდში ავსტრო-გერმანელების ჯარსაო. თუ რომელი მიმართულება გაიმარჯვებს, ამას თათბირის დასასრული გვიჩვენებს.

# უკანასკნელი დეპეშები

**რუსეთის ასპარეზზე:** ყველგან საარტილერიო ბრძოლებია. მდ. დნესტრის ჩრდილო აღმოსავლეთით რუსის ჯარი კვლავ წინ იწევს. მდ. სტოხოდზე რუსები გერმანელების იერიშებს იგერიებენ.

**კავკასიის ასპარეზზე:** ვანის ტბაზე რუსების ფლოტილიამ მტერს სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროებთან სროლა აუტეხა და უკან დაახევინა.

# მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში

(დასასრული პირველის თავისა)

საგულისხმო და აგრეთვე დამახასიათებელიცაა, რომ გურიაში „არსენა ოძელაშვილის" ლექსი მეტად გავრცელებულია და თითქმის ყველა წერა-კითხვის მცოდნემ და არამცოდნემ იცის ის ზეპირად. აქედან უკვე ვხედებით, თუ რანაირი ჯურის ყაჩაღობა მოსწონდათ გურულებს და მისაბაძ მაგალითადაც კი სთვლიდნენ. „მდიდარს წაართვი, ღარიბს მიეცი",—ეს დევიზი ასულდგმულებდა არსენას მოქმედებას და სწორედ ამნაირივე ჯურის ყაჩაღები იწოდებიან გურიაში „ფირალებად". მართალია, გავლილ მოძრაობის შემდეგ ფირალად გაჭრილთ პოლიტიკური იერიც მიეცათ, მაგრამ გურულთა შეგნებამ ისინიც ჩვეულებისამებრ ძველი სახელით მონათლა. თვით ფირალებს კი უფრო ის გარემოება აფრთხობდა, რომ საზოგადოების თვალში ყაჩაღების სახელი არ დაემსახურებიათ, რისთვისაც ხშირად პრესასაც კი მიმართავდნენ დახმარებისათვის. ასე, მაგალითად, 1914 წლის „ბათომის გაზეთის" ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი ფირალ კიკია მამულაშვილისა, რომელიც ცდილობდა საზოგადოებრივი აზრი გაეჯერებია, რომ არსებობენ ეგრედ წოდებული „ქურდ-ბაცაცები", რომლებთანაც არაფერი საერთო არ აქვთ „გადავარდნილთა" მეორე ჯგუფს, ანუ „დევნილებს". საიდან წარმოსდგა ფირალობა გურიაში და სად სძევს მისი სათავე?

ფირალობა სოციალური მოვლენაა, ისეთივე, როგორც სიღარიბე-პაუპერიზმი და სხვ... უხსოვარ დროიდან მოდის ფირალთა შესახებ გარდმოცემანი. ჩვენ ხელთ გვაქვს აღწერა ერთ ასეთ გარდმოცემისა, რომელიც მეორმოცე წლების დროიდან მომდინარეობს და გმირს ამ გარდმოცემისას 1905 წლამდინაც კი მოუხწევია. ეს არის აღმოსავლეთ გურიაში კარგად ცნობილი ფირალი **ალმასხან ბედინეიშვილი.**

„ძველთაგან სურებში ძლიერი ნიადაგი ჰქონდა ფილარობას და პირველად აქ მხოლოდ ფირალები ესახლა",—ასე დაიწყო ჩემმა მოსაუბრემ, რომელმაც გამიზიარა ცნობები ზემოხსენებულ ფირალების შესახებ.

სურები წარმოადგენს მთა-გორაკიან ადგილებს. ის იწყება გურიის აღმოსავლეთ საზღვრიდან, მიდის დასავლეთისაკენ და უჭირავს სიგრძით 30 ვერსის სივრცე. გაივლი ამოდენა მანძილს და მოსახლეებს თითქო ვერც კი ამჩნევ, რადგან ბევრ მათგანს პიტალო კლდეებში გამოუჭრია სამოსახლო და იქა სცხოვრობს. დაბა ჩოხატაურიდან აქ შემოდის სასოფლო გზა, რომელიც საერთოდ სწორია და აღმართ-დაღმართი არ ახლავს. ეს გზა მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირს მოსდევს, აქეთ-იქით ამართულა თვალუწვდენელი მთები. შუაში ჩამოქუხს მდ. სუფსა, ეს გურიის ნილოსი, რომელიც აქ სავსეა კალმახებით და მუდამ მოუსვენარი მისი ჩანჩქარი თითქო „წარსულთა დროთა საქმეთა სამგმიროსა" მოუთხრობს სოფლის მშვიდობიან მცხოვრებთ. მართალი იყო ჩემი მოსაუბრე, რომელმაც სთქვა: „წინედ აქ მხოლოდ ფირალები ესახლაო". მართლაც წარმოუდგენელია, რომ ადამიანი თავის ნებით დასახლებულიყოს ისეთ კუთხეში, სადაც მზის სხივთა ნაკლებობისა გამო ყურძენი იშვიათად მწიფდება და გურიაში საერთოდ გავრცელებულ ურმების ხმარების ნაცვლად ცხენებს ამუშავებენ პიტალო კლდეებში სიმინდის და სხვა ჭირნახულის მოწევნა-მოსაზიდავად. ბატონ-ყმობის უღლიდან გამოქცეულები მოდიოდნენ აქ და თავს აფარებდნენ სურების ჯერაც კიდევ პირველ ყოფილ უღრან ტყეებს. „ჩვენი წინაპრები ფირალები იყვნენ, იქიდან მომდინარეობთ ჩვენც, თორემ ისე აქ რა მოგვიყვანდაო", განაგრძობდა ბაასს სურების საზოგადოების ერთი ნიჭიერი გლეხი, რომელიც თანაც მთიელთა ჩვეულებისამებრ გულუხვ მასპინძლობასაც გვიწევდა. ბატონ-ყმობის უღლიდგან გამოქცეულთ აქედან შეეძლოთ გადასვლა ახალ-ციხის მხარეში, სადაც პირდაპირი გზა მიდის სურების მთებით.

სურები იყო სამშობლო ზემოხსენებულ ფირალ **ალმასხან ბედინეიშვილისა.** მას 50 წელი გაეტარებინა ფირალობაში და 1915 წელსაც კი შემოესწრო ღრმად მოხუცებული. თუმცა ის არ ყოფილა პირდაპირ დამოკიდებულებაში თავის ბატონის ზურაბ ერისთავის სასახლესთან, მაგრამ მოურავებისაგან ძლიერ შეწუხებული, მწარე სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ხშირად მოვიდოდა მასთან მოურავი, გაიკეთებდა ღვინის მარანზე საწოლს და ბრძანებდა: მომართვი, მასვი და მაჭამე და სამ დღეზე ნაკლებს არ დარჩებოდა ასეთ ყოფაში გლეხის მარანზე. დიდ ხანს უთმენდა მას საწყალი „ალმასხანი". ყოველი ახალი დღე მას უფრო მეტს ტანჯვასა და ტკივილებს ჰმატებდა. ღვინით გალეშილ მოურავის ვნება-აშლილ მადას აინუნშიაც არ მოსდიოდა გლეხ-კაცის მდგომარეობა, რომელსაც „ძალადმაცხონე" სტუმრის მისს ოჯახში ყოფნის დროს ნება არ ჰქონდა სადმე წასულიყო და საოჯახო კერძო საქმე გაეკეთებია. მოჰბეზრდა ასეთი ყოფა ალმასხანს. დასწყევლა თვისი გაჩენა და მოთმინებიდან გამოსული „დამბაჩით" უმასპინძლდება მაბეზარ მოურავს. ალმასხანმა მარანშივე ჩაჰკლა თავის ბატონის მოურავი. სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. იცოდა რაც დღე მოელოდა და ამიტომ ერთ ბოროტებას მეორეც ზედ დაუმატა. ღამით შეუვარდა სახლში თავის ბატონ ზურაბ ერისთავს და იმასაც მოუღო ბოლო ლოგინში მწოლიარეს. ალმასხან ტყედ გაიჭრა. სურების უტეხ ტყეებს აფარებს თავს. შემდეგ გაშორდა თავის კუთხეს და, როგორც ამბობენ, ვინ იცის სად არ ყოფილა. პირველად გადასულა ახალციხის მხარეში, ყოფილა სომხითში, სტამბოლში და ბოლოს ოდესაშიაც კი ამოუყვია თავი. ტანჯვით და წამებით აღსავსე ამ მაწანწალობის დროიდან ალმასხანის მოგონებანი მაყურებელზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. რა არ შესძლებია უბრალო ადამიანს, როცა მას გარემოება განსაცდელში აყენებს და იძულებულია სხვა და სხვა ხერხსა და ოინებს მიმართოს, რათა ბეწვზე ჰკიდებული სიცოცხლე გაახანგრძლივოს და, ვინ იცის, ეგებ როდისმე კიდევაც ეღირსოს მის პიროვნებაზე დადებულ ყადაღის მოხსნასა და მით ტკბილ-მწარე მოგონებით სავსე თავის საყვარელ მშობლიურ კუთხეების ხილვას, იქ დაბრუნებას!.. ეტყობა, ალმასხანი 50 წლის სამშობლოს გარედ ყოფნას არ გადაუგვარებია, არ მოუწყვეტნია მშობლიურ ნიადაგსა და სანეტარო იდეალად გაუხდია იმ კუთხეში მისვლა, სადაც მან პირველი საბედისწერო დანაშაული ჩაიდინა. ამ სურვილით შეპყრობილი ალმასხანი 1905 წელს ჩნდება სურების საზოგადოებაში და ხალხის გაკვირვებასაც საზღვარი აღარ აქვს. 50 წლის ფირალობა!.. ადვილად სათქმელია, მაგრამ ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელი.

ბუნებით ყაჩაღი, ლომბროზოს თეორიის ტიპისა, ამ ხნის განმავლობაში სრულიად გადაგვარდებოდა და განავითარებდა თავის ხელობას. ალმასხანი კი სამშობლოს დაბრუნებოდა მხოლოდ ერთად-ერთი განზრახვით, რომ მოენანიებია თავისი დანაშაული. გაჭაღარავებული, ღრმად მოხუცებული ალმასხანი თან ტკბილი მოსაუბრე ადამიანიც იყო და ამიტომ საზოგადოებაში ყოფნის დროს მოსვენებას არ აძლევდნენ: მოდიოდნენ მასთან და უსმენდნენ მრავლის მეტყველ თავგადასავალის თხრობას. შორეული კუთხეებიდანაც კი მოდიოდნენ სურებში, რომ მოესმინათ ამ იშვიათ ფირალის ნაამბობი. მაგრამ ხანმოკლე იყო ალმასხანის საზოგადოებაში ყოფნა. მან არ ისმინა ერისგანთა ხვეწნა-მუდარა, როგორმე დარჩენილიყო სოფლად და თავის მეზობლებს არ განშორებოდა. ალმასხანი ცოდვების მონანიების წადილს შეეპყრო და ამიტომ ბერად შევიდა „სამების მონასტერში". აქ, როგორც მხილველნი ამბობენ, ყოველ საღამოობით თავის ბატონის ზურაბ ერისთავის საფლავზე მხურვალედ აღავლენდა ის ლოცვას და ხელაპყრობით ევედრებოდა ზეციერს მისზე დანაშაულის პატიებასა და შენდობას. ღრმად მოხუცებული ალმასხანი გარდაიცვალა 1915 წელს და ხალხმაც ღირსეულად დაასაფლავა 95 წლის იშვიათი მოხუცი.

ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ფირალობა გურიაში მინელდა და მან კვლავ იჩინა თავი მე-90 წლებში. ამ ხანის ფირალებიდან გამოირჩევიან მიქელაიშვილი, დათუნაიშვილი, დარჩია და ჩხარტიშვილი. ესენიც „მდიდარს ართმევენ, ღარიბს აძლევენ". ხალხი ერთგვარი თანაგრძნობით შეჰყურებს მათ, თუმცა იცის, რომ ფირალობაში ჩავარდნილი ადამიანი იძულებულია ხშირად სასტიკ ზომებს მიმართოს თავის სიცოცხლის განსაგრძობლად. მე-90 წლების ფირალობა წინამორბედი იყო დიადი სახალხო მოძრაობისა, თუმცა წარმოშობითი ძაფი და მიზეზობრივი კავშირი აქ შეუძლებელია დავამყაროთ. სოციალ უსწორ-მასწორობისა და ერთხელვე დამყარებულ პოლიტიკურ წყობის საშოში იქმნებოდა უკმაყოფილების ნიადაგი და ამ უკმაყოფილების გამოხატვის ანარქიულ ფორმად შეიძლება ფირალობაც ჩავთვალოთ. განსაკუთრებით ითქმის ეს გურიის დღევანდელ ფირალებზე, რომლებიც, ფირალ მამულაიშვილის თქმისა არ იყოს, მართლაც „დევნილები" არიან. რაც შეეხება ქურდობას, რომელიც თანამგზავრია არა თუ ისეთ გაურკვეველ სახის უკმაყოფილების გამოხატვისა, როგორიც ფირალობაა, არამედ უდიდეს სახალხო მოძრაობათა, გურიაში მას სდევნიან და სახალხო მსჯავრით ის გაკიცხული და შეჩვენებულია. როგორ უყურებენ გურუ-

სპარსეთში, საკკიზას ჩრდილოეთით, რუსების ჯარმა ოსმალებს თხრილების ნაწილი წაართვა. ხამადანის ჩრდილოეთით ოსმალები კვლავ შეტევას განაგრძობენ.

საფრანგეთის ასპარეზზე: მაასის მარცხენა ნაპირზე „304“ სიმაღლის აღმოსავლეთით გერმანელებმა იერიშები განაახლეს; მარჯვენა ნაპირზე ფრანგებმა ორი იერიში მოიგერიეს.

ინგლისის ასპარეზზე: პოზიერის მიდამოებში ინგლისელების არტილერიამ გერმანელების იერიში შეაჩერა.

—

პარიზიდან მოსულ ცნობის მიხედვით, გერმანელებს 10,000 ბელგიელი გაუგზავნიათ ფლანდრიის ახალ ასპარეზზე. აქ ბელგიელებს ციხესიმაგრეებზე ამუშავებენ.

—

იტალიელების იერიში ავსტრიელებისთვის მოულოდნელი გამოდგა. ამბობენ, ავსტრიელები გორიცას ვერ დაიმაგრებენო. იტალიელების ფართო იერიშს ელიან.

—

ჰინდენბურგი ლვოვში მივიდა და ბემ-ერმოლის ესაუბრა.

—

ცენტრალმა სახელმწიფოებმა რუმინეთს შეუთვალეს, რომ მისგან მობილიზაციის მოხდენას მტრულ განწყობილებად ჩავთვლითო.

—

ჯემალ-ბეი გალიციის ფრონტზე ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდლად დაინიშნა.

—

ალი-გაიდარის მეთაურობით ოსმალები არაბეთზე გალაშქრებას აპირობენ.

—

ენისეისკიდან კრასნოიარსკის ციხეში დასაპატიმრებლად დეპუტატი პეტროვსკი მოიყვანეს. მას ახახლებენ იაკუტსკის გუბერნიაში რევოლიუციონურ მოქმედების გამო.

—

საფრანგეთის სოციალისტების კონგრესზე ხელმეორედ წამოყენებული წინადადება, რომ გერმანეთის ს.-დემოკრატებთან მოლაპარაკება გამართონ, უკუგდებულ იქმნა. წინადადების დამცველად გამოვიდა კ. მარქსის სიძე ლანგე, მოწინააღმდეგედ მინისტრი სემბა.

საფრანგეთის პრესა ფიქრობს, რომ ამ ინციდენტის გამო საფრანგეთის სოც.-დემოკრატია ორ პარტიად გაიყოფაო.

გუსტავ ერვემ მხურვალე წერილი დასტამბა ინტერნაციონალიზმის გასანადგურებლად და დასამარხად. მოითხოვდა ეროვნულ სოციალიზმის განხორციელებას.

**გუშინ, 2 აგვისტოს, დანიშნული იყო უწმ. სინოდის სხდომა ობერ-პროკურორის ვოლჟინის მონაწილეობით. სხდომაზე განხილულ იქმნება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და წაიკითხავენ მოხსენებას საქართველოს საექსარხოსოს რევიზიის შესახებ.**

გუშინ გაზეთ „საქართველოს“ შეცდომით ეწერა ღირს 7 კ. გაზეთი „საქართველო“, გარდა კვირა ნომრისა, ყველგან შაური ღირს.

# ახალი ამბავი

**სასახლეში.** 1 მარიამობისთვეს სასახლეში გენერალ პოს აჩვენეს სინემატოგრაფიული სეანსები ბრძოლის ველიდან აღებულ სურათებისა. დეესწრო მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე.

**სასურსათო საკითხი.** 1 აგვისტოს თბ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება პირველ საჭიროებათა მოთხოვნილებათა შესყიდვის ზომების მისაღებად. დადგენილ იქმნა დაარსდეს განსაკუთრებული ბიურო გუბერნატორის კანცელარიასთან. ბიუროს გამგეს ორი გამოცდილი თანაშემწე უნდა ჰყავდეს. საზოგადოთ საქმე ფართე ნიადაგზე უნდა იყვეს დაყენებული.

**ტატიანეს კომიტეტისაგან.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების, გამგეობას გუშინ მოუვიდა ცნობა რომ მკათათვის ანგარიშში კომიტეტისაგან საქ. მოქმედო საზოგადოების გამგეობას ეგზავნება 2 ათასი მანეთი საამბულატორო პუნქტის შესანახად ს. ხულოში, ბათომის ოლქში, 6400 მან. ოთხი სკოლის შესანახად ლტოლვილთა შვილებისათვის და 800 მანეთი იმ ლტოლვილთა შესანახად, რომელთაც მუშათა სასწავლებლებში თავი შეაფარეს.

**ჯარში გასაწვევთათვის შეღავათის მიმცემმა კომიტეტმა** 1 მარიამობისთვეს განიხილა შუამდგომლობა თბილისელ მესტამბეებისა და თითქმის ყველას თხოვნა შეიწყნარა. სხვათა შორის ჯარში გაწვევის ვადა გადაუდვა 6 თვით ქართულ საგამომცემლო (ალ. ჯაბადარი) ამხანაგობის მუშებს, „შრომის“ სტამბის პატრონთ ვ. და გ. ბოლქვაძეებს და მესტამბე ბარ. კილაძეს.

**საგანგებო კრება.** ხვალ 4 მარიამობისთვეს, სალამოს 8 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება. საბჭო მოისმენს: 1) ქალაქის თავის მოადგილის მოხსენებას ხოლერის გაჩენის შესახებ თბილისში, 2) ხმოსან ნესმაშნის წინადადებას ტრამვაის მუშაობის გაუქმების შესახებ ნაშუაღამევს და 3) ტრამვაის მოსამსახურეთა შუამდგომლობის შესახებ იმისა, რომ ქალაქმა კონებრივი შემწეობა აღმოუჩინოს, თუ ვინმე მათგანი ჯარში იქნება გაწვეული. კრებამ აგრეთვე უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენი ხორცი იქნება საჭირო თბილისში სამი სხნილი დღის განმავლობაში, როცა ძალაში შევა მთავრობის განკარგულება.

**წერა-კითხვის გამავრცელებელ** საზოგადოებას შემოუვიდა მკათათვის განმავლობაში 37.340 მან. 71 კაპ. ამ თანხაში შედის ის 24.000 მანეთიც, რომელიც საზოგადოებას შესწირა კავკასიის მთავარმა კომიტეტმა ომიანობისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის თავშესაფარის დასაარსებლად ბაქოსა, ბათომსა და სოხუმში. დაიხარჯა იმავე თვეში 36.991 მან. 25 კაპ. 1 მარიამობისთვის საზოგადოების ქონება უდრიდა 385.764 მან. 97 კაპ.

**ახირებული ინსპექტორი.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რამდენი ხანია, სკოლების დაარსება უნდა სოფ. გალსა (სამურზაყანოშია) და გუდაუთში (აფხაზეთში), მაგრამ ნებართვას ვერ ედირსა სოხუმის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორისაგან. პირველად ბ-ნი ინსპექტორი შეეკითხა საზოგადოების გამგეობას, რა სახელმძღვანელოებით უნდა ასწავლოთ სკოლებში და ნებადართული თუ არის თქვენი სახელმძღვანელოებიო. როცა შესაფერისი პასუხი მიიღო გამგეობისაგან, ეხლა ისევ კითხულობს, მართლა თუ არის ნება დართული თქვენი სახელმძღვანელოები, ვისგან არის ნებადართული და როდისო. წერა-კითხვის საზოგადოებას **ასეთი დაბრკოლება მოხელეების მხრივ არასოდეს არ შეხვედრია** სკოლების დაარსების დროს, რადგან საზოგადოებას მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება აქვს და მუდამ და ყველგან საკმარისი იყო ამა თუ იმ სამოსწავლო მოხელისათვის ეცნობებინა თავისი გადაწყვეტილება სკოლის დაარსების შესახებ.

**ქართველ მოღვაწეთა პანთეონი.** წერა-კითხვის გამავრცელებელ კანცელარიას მიუღია 1 მარიამობისთვემდის ქართველ მოღვაწეთა პანთეონის თანხის გასაძლიერებლად 2.779 მან. 25 კაპ.

**ხოლერა.** ქალაქის სასანიტარო და სამკურნალო ნაწილის ცნობათა თანახმად 1 მარიამობისთვეს მიიყვანეს ქალაქის ლაზარეთში ხოლერის ნიშნებით: ბაბა-ბეგ-ოღლი-ნადირბეგი (სუმბათაშვილის შესახვევი, სუმბათაშვილის სახლი, მე-5 საპოლიციო უბანი), ნინო გოგოლიშვილი (ფომინის შესახვევი, მე-4 საპოლიციო უბანი) და ფრიდრიხ კალი (განმანაწილებელი პუნქტი, ნავთლუღი); 2 მარიამობისთვეს მიიყვანეს: ანდრეევი (იურიევის ქუჩა, სახლი № 49), ხმალაძე (პოგრანიჩნი ქუჩა, სახ. № 17) და აივაზოვი (სასახლის ქუჩა, სახ. № 3). გუშინ, 2 მარიამობისთვეს, დღის 12 საათზე, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიან 3 და ხოლერ ს ნიშნებით 9 კაცი. გლდანიდან მოყვანილ წამალაშვილებს ვიბრიონები აღმოაჩნდათ; ხოლო ეს ვიბრიონები ხოლერის არის თუ არა, ბაქტერიოლოგიურად გამოარკვევენ.

**ხოლერის წინააღმდეგ ზომების** მისაღებად 1 მარიამობისთვეს ექიმ იგიტიანცის თავმჯდომარეობით შესდგა კრება. კრებამ გადასწყვიტა მიიღოს შემდეგი ზომები: 1) ყოველ დღე წყალსაყვანის მილების წყალი გამოკვლეულ იქნეს, 2) სადეზინფექციო კამერის შტატი გაძლიერდეს, 3) მოწვეულ იქნეს 1 ექიმი და 1 ფერშალი ავჭალის წყალსაყვანის მეთვალყურედ; ექიმს მიეცემა თვეში 350 მ. და ფერშალს 150 მანეთი, 4) გაძლიერებულ იქნეს მეთვალყურეობა და გამჯებლობა იმ სავაჭრო სახლებზე, სადაც იყიდება სასმელ-საჭმელი, 5) ყველა დაწესებულებას, სადაც ხალხი თავს იყრის დაევალოთ ონკანებთან (კრანი) ან ფილტრები მოაწყონ, ან ადუღებული წყალი იქონიონ, 6) გაიკრას ქალაქის ყველა უბანში მოწოდება, რომ უდუღარ წყლის ხმარება აკრძალულია, 7) მოსამსახურეთა შტატი გადიდდეს ღ ხევები გაიწმინდოს, 8) სამაზრო პოლიციას დაევალოს ავჭალის და გლდანის მიდამოების გაწმენდა და გასასუფთავება; 9) უფასოდ დარიგდეს ქალაქის სხვა და სხვა უბანში კირი; 10) დაარსდეს სახაიები ავლაბარსა და ნავთლუღში დესიმონოვის და თათრის მოედანზე, პირველ საკომერციო სასწავლებელთან, ნაძალადევში, საზამთრო მოედანზე და სხვა ნაწილებში; 11) გაიმართოს ნაგვის საწვავი ფეჩები და 12) საკანალიზაციო მილები მდინარის პირებამდე მიყვანილ იქნეს.

**„კავკასკოე სლოვო“** გუშინ არ გამოსულა.

**თბ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.** ამ გიმნაზიიდან ჯარში გაწვეული მოწაფეებიდან არ გაანთავისუფლეს 1896 წელს დაბადებულნი. გაანთავისუფლეს ვინც 1897 წელსაა დაბადებული.

**ქალაქის სასურსათო დუქნებში.** 2 მარიამობისთვიდან ვაჭრობა იწყება დილის 7 საათზე და თავდება დღის 12 საათზე.

**შემოტანილი საქონელი მკათათვეში.** მკათათვის განმავლობაში შემოუტანიათ ქალაქში: ფქვილი: 378309 ფუთი, ხორბალი 205 ფუთი, სიმინდი 15,400 ფ. შაქარი 13,500 ფ. შაქრის ფხვნილი 869 ფ. მარილი 22146 ფ. კარტოფილი 5293 ფ. ერბო 891 ფ. კვერცხი 829 ფ. ქერი 46427 ფ. შეშა 68416 ფუთი, გაწმენდილი ნავთი 10207 ფ. გაუწმენდელი ნავთი 55689 ფ. და სხვა და სხვა საქონელი 29009 ფუთი.

**ჭიათურა.**

მომხ. საზ. „ჩვენმა ოჯახმა“ უკვე მიიღო ოთხი ვაგონი სიმინდი და დაურიგა კიდეც—წევრებს 5 ფუთი და არა წევრებს 1 ფუთი. სიმინდი ყვითელი ფერისაა და ღირსებითაც კარგია. ხსენებულმა საზოგადოებამ მიიღო აგრეთვე 1 ვაგონი მარილი, რაც საზოგადო ნიხრზე 10 კაპ. ნაკლებ იყიდება. დიდძალი ხალხი მიესია. ამ დღეებში შაქარსაც მოელიან. გამგეობა ჯერჯერობით ენერგიულად მუშაობს.

**„ოხროშეთი“.**

რკინებით ხლართულ ვიწრო და ნესტიან საკნებში მუხლს ვიდრეკთ მთის არწივის, **ვაჟა-ფშაველას** გარდაცვალების წლის თავზე. სასოებით თვალ-წინ გვიდგას ვაჟას უკვდავი და მადლიანი სახე. სამშობლო მხარეს მოწყვეტილნი, ცოცხალ-მკვდრებში, ამ ჯოჯოხეთშიაც ვიმაყობთ ვაჟას მზგავსი სახელოვანი და უკვდავი შვილებით.

ქ. ორიოლის საკატორღო ციხეში მყოფ ქართველი კატორღელების მონდობილობით პლ. ოხრობეთელი.

**ს. ხორში.** (ზუგ. მ.)

ადგილობრივმა მცხოვრებმა კონსტანტიე გრიგოლიამ რევოლვერით მოჰკლა თვის სახლში თვისივე ნათესავი ანდრია გრიგოლია, რომელსაც თურმე დამოკიდებულობა ჰქონდა მკვლელის ცოლთან.

— ამ სოფელში ყაჩაღების თარეში ძლიერ გამწვავდა. მთელი სამეგრელოს მხარე მეტად საშიშ და აუტანელ მდგომარეობაშია. ისედაც მატერიალურად დაუძლურებელ გლეხებს უკანასკნელ საჭმელ ლუკმას ართმევენ, ძარცვავენ, სწვავენ, სცემენ და სიცოცხლეს უსპობენ. მკვლელობები ძლიერ გახშირდა. წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ უბედავს. თუ ვინმე ეჭვით ჯაშუშობაში შენიშნეს შეუბრალებლად აწამებენ: ან მოჰკლავენ, ან გაჰპარსვენ, ან კბილებს ამოაძრობენ, ეს უკანასკნელი მწვავე ხასიათის ზომა ახლა იქნა მიღებული.

**სოფ. ოტოფო.**

კანცელარიის მწერალი ერთი ქალის მიერ ყაჩაღების დახმარებით მოტაცებულ იქნა. როგორც ამბობენ, ქალს თურმე დიდი ხანია რაც ჰყვარებია ის მწერალი და მრავალჯერ წინადადება მიუცია, მაგრამ ყმაწვილს ყოველთვის უარი განუცხადებია. ამის გამო ქალს აღნიშნულ ზომისთვის მიუმართავს და ძალით ჯვარიც კი დაუწერია.

**დ. ახალ-სენაკი.**

ქალთა ამბოხების მიერ შექმნილ არეულობის დამშვიდების შემდეგ, როგორც საჭირო იყო, ვაჭრების მიერ შემუშავებულ იქმნა დროებითი ნიხრი, რომლის მიხედვით უნდა განეგრძოთ ვაჭრობის წარმოება. საერთოდ დაკლებულ იქნა ყოველ საქონელზე შაურიდან ორ შაურამდე. სოფლელებმა ეს ცოტად იცვნეს და კვლავ საყვედური გამოუცხადეს. სოფლებიდან შემოტანილ სანოვაგეს კვლავ ძველი ფასები აქვს, ვაჭრების მიერ კეთილსინდისიერი ზომების მიუღებლობის გამო, როგორც ამას თვით სოფლელები ამბობენ.

— მეფურნეებმა კარგი ხარისხის ფქვილი უკვე მიიღეს და მცხოვრებნი გაჭირვებას აღარ განიცდიან.

— კოოპერატიულ დუქან „ნდობაში“ საჭირო საქონელი: ჩაი, შაქარი, საპონი ბლომათაა და იყიდება იმავე ფასებში,როგორც სხვა მაღაზიებში.

— 28 ივლისს შესდგა წ. კ. გ. ს. სენაკის განყოფილების გამგეობის კრება მორიგ საკითხების განსახილველად და მომავალი ახალი სამკითხველოს საკუთარი შენობის აგების შესახებ. შენობის გეგმა შემუშავებულია და მოწონებული.

**ახმეტა** (თიან. მაზ.).

მარიამობისთვის 6-ს, სოფ. ახმეტაში ადგილობრივი ძალები მართავენ სალიტერატურო სალამოს წარმოდგენით. წარმოდგენილი იქნება „ადვოკატი მელაძე“, კომ. 2 მოქ. და წაკითხული აქნება მოკლე რეფერატი ქართულ თეატრის ისტორიაზე, ახმეტის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ.

წარმოდგენები ახმეტაში, საერთოდ თიანეთის მხარეს, უცხო ხილია. ურიგო არ იქნება საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდეს, რომ კვლავისთვის უფრო ხალისით ვმართოთ წარმოდგენები.

# სახალხო ბანკი

შესაძლოა თუ არა, გაიხსნას ჩვენში სააქციო სახალხო ბანკი?

ჩრდილო კავკასია ჰავით, ნიადაგით და მრეწველობითაც უფრო ვორონეჟის გუბერნიასა ჰგავს, ვინემ ამიერ კავკასიას და ბუნებრივი მიდრეკილებაც იმ მხრისკენ ემჩნევა უფრო. ცხადია, რომ მისთვის უფრო ხელმისაწდომია როსტოვში გახსნილი განყოფილება მოსკოვის სახალხო ბანკისა და ჩრდილო კავკასია ამიერ კავკასიასთან ამგვარ საერთო საქმეს არ დაიწყებს.

ამიერ კავკასიაში გავრცელებულია კოოპერაცია და წვრილი კრედიტის დაწესებულებანი ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში; ამიერ კავკასიის სხვა გუბერნიებში ამ დაწესებულებათა რიცხვი გაცილებით ნაკლებია. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ბაქო და ერივანი ჩვენ არ მოგვემხრობა,—ვეშორებით. დანარჩენთათვის სააქციო ბანკის გახსნა არ შეუძლიათ.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბანკებისათვის არსებობს სავალდებულო საზოგადო ნორმები. მაგ. სააქციო ბანკისათვის სავალდებულოა ხუთი დამაარსებელი და 500,000 მან. ძირითადი თანხა. ხუთი დამაარსებელი ადვილად მოგროვდება, მაგრამ 500,000 მანეთის მოგროვება გაჭირდება იმდენად, რომ ბანკის დაარსება შეუძლებელი შეიქნება. ასე რომ ამაზე დაობა და მეცადინეობა სრულებით უსაფუძვლოა.

იმავე საზოგადო კანონით საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისათვის საჭიროა 50 დამაარსებელი წევრი, მაგრამ ძირითადი თანხა კი დიდი არ უნდა,—ათი ათასი მანეთიც საკმარისია. აქედან აშკარაა, რომ ჩვენი კოოპერაციისა და წვრილი კრედიტის ამხანაგობათ შეუძლიათ თავიანთი საკუთარი საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება დააარსონ. ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმისა და ბათომის ოლქებში წვრილი კრედიტის ამხანაგობათა რიცხვი არის 170, თბილისის გუბერნიაში 150. ძალიან ადვილად შეიძლება ერთი საზოგადოება თბილისში დაარსდეს და მეორე ქუთაისში, ანა და ერთი თბილისში ყველასათვის საერთო. ამ საზოგადოებას შეუძლია სრულებით დააკმაყოფილოს წვრილი კრედიტის და კოოპერატიულ ამხანაგობათა მოთხოვნილება ყოველ მხრით, კრედიტი იქნება ეს, თუ ყიდვა-გაყიდვის საქმე.

გარდა ამისა წვრილი კრედიტის ამხანაგობათათვის არსებობს საკუთარი დაწესებულება—კავშირი, რომლის წესდება დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის მიერ 13 ივლისს 1911 წ. ამ წესდების ძალით კავშირს უფლება ეძლევა აწარმოვოს ბანკის ოპერაციები თავის წევრებთან და აგრეთვე ვალდებულია საკრედიტო ამხანაგობათ ყიდვა-გაყიდვაში ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს.

არის მხოლოდ ერთი დაბრკოლება წესდებაში, სახელდობრ ის, რომ კავშირის წევრები მარტოოდენ წვრილი კრედიტის ამხანაგობებია. თუ მართებლობა ნებას დართავს, რომ კავშირში კოოპერატიული ამხანაგობებიც წევრებად შევიდნენ, მაშინ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებას კავშირი სჯობია. ყოველ შემთხვევაში ამის მოწყობას ეხლავე უნდა შევუდგეთ. ან კავშირი, ან საზოგადოება. სააქციო ბანკი ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, მაგრამ თუ კავშირს, ან საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებას მოვაწყობთ, მაშინ სახალხო სააქციო ბანკი ჩვენთვის სრულებით საჭირო არ არის.

ბ. გ.

# სიძვირის გამო

ადგილობრივი მოვაჭრენი ხელსაყრელ ფასებში ვერ გაჰყიდიან რაიმე ნაწარმოებს, რადგან ფასები ალაგობრივ ფაბრიკებში უზომოდ არის აწეული. ნიხრის დადებაც შეუძლებელი ხდება. ყოველ საქონელს 500 % მოემატა. ამისი მაგალითი ცხად ჰყო მეფის ნაცვლის თანაშემწესთან, თავად ორლოვთან, ამ დღეებში დაბარებულმა დეპუტაციამ.

მათს ბრწყინვალებას წარუდგინეს ზოგიერთ საქონლის სია. გამოჩენილ ფაბრიკის 1913 წლის ქალის ჩულქი ღირდა 3 მ. 23 კ. და 4 ივლისს 1916 წ. იმავე ხარისხისა ნაყიდია 17 მ. 60 კ. მეორე ხარისხის, ნაყიდი 1913 წ. 3 მ. 83 კ., ახლა 18 მ. 50 კ., (დუჟინის ფასია). ბავშვის ჩულქი 1913 წ. ნაყიდი 85 კ. ახლა 8 მ. 50 კ. ალაგას. ამას კაბინეთური ნიხრი წამალს ვერ დასდებს. უარესად კი გაამწვავებს საქმეს. ამას უნდა ენერგიული, პრაქტიკული შრომა და საგნის გამორკვევა. ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ვერავის ვერ დავაკისრებთ მანეთიანი 50 კაპ. ჰყიდოს.

განა შესაძლებელია 1913 წ. მაზანდით 10 კაპ. ჩითი, ახლა 11 კ. გაიყიდოს? როდესაც ეხლა ალაგას ღირს 34 კაპეიკი? განა შესაძლებელია 1913 წ. ღირებული ჩულქი 3 მ. 23 კ. გაიყიდოს დუჟინი 4 მანეთად, როდესაც ქარხანა ჰყიდის 17 მან. 60 კ.? ასევეა სხვა და სხვა სანოვაგის—კვერცხის, ქათმის, ინდაურის და ათასი სხვა ხორაგის საქმეც. საიდან შესძლებს გლეხი კვერცხის გაყიდვას 1 მ. 50 კ., როდესაც ის 6 კაპიკიან მიტკალში აძლევს 25 კაპეიკს? ყოველივე უსამართლოება და უბედურება, თუ ჩვენი ბატონ-პატრონნი გამსჭვალულნი არიან ხალხის ჭირ-ვარამით, სათავეშივე უნდა ჩააქრონ.

ერთი სიტყვით, ყოველივე დარგი სანოვაგისა, თუ სხვა რამისა, ერთი სამად და ხუთად არის ალაგობრივ გაძვირებული და ყოველ-დღიურადაც იცვლება, ნიხრის დადებას ყოვლად შეუძლებლად ჰხდის.

უნდა ყველას ეკითხოს, ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, როგორც მომხმარებელმა, ქალაქის თვითმართველობამ და მთავრობამ, ასევე ყოველივე დარგის სანოვაგისა და საქონლის გამყიდველებმა ღ სპეციალისტებმა და მათი დახმარებით და გამოკვლევით საერთოთ უნდა მიიღონ სამართლიანი ნიხრი, რომ არც ერთმა იზარალოს და არც მეორემ.

ყველას იშტა ეხსნება სოფლის ძვალტყავა გლეხის ნაოფლარით: ბადრიჯანი, პამიდორი, კიტრი, ნესვი, საზამთრო, ლობიო და ათასი სხვა იაფად იყიდოს, ხოლო მილიარდის პატრონებს: მაროზოვებს, გიუბნერებს, ცინდელებს, გარენინებს კი სრული უფლება ეძლევათ ხალხს ტყავი აძრონ და 10 კაპ. ჩითი 40 კაპეიკად მიჰყიდონ, 6 და 7 კაპ. მიტკალი 25 კაპ., 1 მ. 20 კ. მაუდი 19 მანეთად! დიდი ყურადღება, ვისიც ჯერ არის, იმას უნდა მიაქციონ, მხოლოდ კაბინეთში ზეზეურად ნიხრის დადება საქმეს ვერ უშველის.

ი. გ—იანი.

---

ლები ქურდებს და ქურდობას, ამას ჩვენ შემდეგში უფრო ნათლად დავინახავთ, მხოლოდ ამ ჟამად არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ ერთ ფრიად დამახასიათებელ კამათზე, რომელიც გურიაში გავრცელებულ ქურდობას შეეხება.

ბ-ნი კ. გვარამაძე, რომელმაც თვიურ ჟურნალ „მოგზაურში“ მოათავსა ეთნოგრაფიული წერილები გურიის შესახებ, ეხება რა გურულთა შორის გავრცელებულ ქურდობას, სწერს: „წახედულობითვეა ქურდობა და სხვა და სხვა ავკაცობა აქა. ცხენის და ხარის მოპარვა დიდ კაზახობათ (ყოჩაღობად) ითვლება; ციხეში ნამყოფი თუ არაა კაცი, იმას მკვდრათა სთვლიან“ [1]. ბ-ნ გვარამაძის წერილებს, როგორც ეტყობა, გამოუწვევია მკაცრი პასუხი „კვალის“ მე-3 ნომერში ვინმე „ვ—ო“-სი. სამწუხაროდ „კვალის“ ეს ნომერი ჩვენ ხელთ არა გვაქვს. მიუხედავად ამისა, დიდი თადარიგი არაა საჭირო, რომ პატივ. კ. გვარამაძის ეს „დაკვირვების“ ნაყოფი ახირებულ აზრად ალვიაროთ. ეთნოგრაფიული წერილის ავტორი პირველ ყოვლისა უნდა ემყარებოდეს კვლევა-ძიების რომელიმე მეთოდს, რომ მისი დაკვირვებანი სწორი და მართებული გამოდგეს. ამ შემთხვევაში კი ბ-ნ გვარამიძის აზრი ყალბია, ფაქტების სწორი შეფასების მხრითაც. გარდა ამისა ვის გაუგონია ვაჭრობა-მრეწველობა მხოლოდ „წახედულობით“ ვითარდებოდეს. *) ამგვარად აღორძინებული ვაჭრობა-მრეწველობა ყალბი და ზერელე იქნება და ცხოვრების მსვლელობაში ნიშანკვალს ვერ დააჩენს. ბ-ნ გვარამაძეს მოსწონს გურულების შეუკავებელი ლტოლვა ამ დარგისადმი, მაგრამ წარმოიდგინეთ—ყველა ეს მხოლოდ უბრალო „წახედულობის“ ბრალი ყოფილა. თუ მარტო ეს არის მიზეზი, მაშინ გურიაში ამდენ ხანს ვაჭრობა-აღებმიცემობა კიდევაც უნდა დაცემულიყო, რადგან, მოგეხსენებათ, წახედულობით გაკეთებული საქმე ყოველთვის ქარაფშუტულ გატაცებას იწვევს და შემდეგ ისევ ნელდება მკვიდრ უ-ყევ ნიადაგის თვით ხალხის შინაგან ბუნებაში უქონლობის გამო. ამ მხრით, მადლობა ღმერთს, ვაჭრობა-აღებმიცემობა გურიაში არა თუ ეცემა, წინ მიდის და ვითარდება. მაშ მიზეზი გურულთა ამ დარგში დაწინაურებისა სხვაგან უნდა გვეძებნა და არა მხოლოდ „წახედულობაში“, როგორც ამას ბ-ნი გვარამაძე აღვიარებს. ქურდობის შესახებაც, ვინაიდან თუ ის მხოლოდ წახედულობითაა გადმონერგილი გურიაში, მაშინ საკმარისი იყო საზოგადოების გარდამწყვეტი ზომები და ეს მავნე ზნეც ერთხელ და სამუდამოდ აღიგვებოდა, მოისპობოდა. მაგრამ ჩვენ ამ აზრს არ ვიზიარებთ, ვინაიდან გურიაში მართლაც არსებობს ქურდობა, ყაჩაღობა, რომელიც სხვათაგან არ არის ის გადმონერგილი. მიუხედავად ამისა, გურულებს ქურდებს ჩვენ ვერ ვუწოდებთ, როგორც ამას ბ-ნი გვარამაძე შვრება. ეს ერთობ დაუმსახურებელი ბრალდება იქნებოდა იმ ხალხის მიმართ, რომელმაც ესოდენ სიცხაღით გადაშალა მთელი საქართველოსისა და ამიერ-კავკასიის წინაშე მძიმე ტკივილები და იარები მშრომელი გლეხკაცობის ბედისწერისა. მაშ სად უნდა ვეძიოთ მიზეზი გურიაში გავრცელებულ ქურდობისა? აქ ჩვენ არ დავასახელებთ გურულთა იმ **უუსასტიკეს დესპოტურ ზომებს**, რომელსაც მიმართავდნენ ქურდობის აღმოსაფხვრობად. ამ პრაქტიკულ ზომათა შესახებ ჩვენ შემდეგ გვექნება ბაასი. ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ გურიაში ქურდობა წარმოშვა იმავე მიზეზებმა, საიდანაც, მომდინარეობს ფირალობა—ეს თავისებური ფორმა საერო უკმაყოფილების გამოთქმისა სხვა და სხვა შევიწროება—გაჭირვებათა გამო. გურიის ფირალობა შესანიშნავი ხასიათის მოძრაობაა, რომელსაც მომავალი მემატიანე საქართველოს სახალხო მოძრაობისა გვერდს ვერ აუქცევს. ფირალობის გვერდით ვითარდებოდა მდაბალი ხასიათის ქურდობაც და ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

საერთოდ კი ორივე ეს მოვლენა პირმშო შვილია იმ უუფლებობისა და გაჭირვებულ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩაცვივდა ქართველი გლეხკაცობა მე-60 წლების დიდი რეფორმების შემდეგ. გურიის გლეხობა ყველაზე მწვავედ განიცდიდა ამ მდგომარეობას და მანაც პირველმა აღიმაღლა ხმა მოჯადოებულ წრის გასარღვევადა და უფლებრივ პოლიტიკო-ეკონომიურ გარანტიების დასამყარებლად.

ღ. არონიშიძე.

(შემდეგი იქნება)

[1]) იხ. „მოგზაური“ № IX 1901 წლისა. ავ.

*) ზემოდ მოყვანილ ამონაწერის ცოტა ზევით ბ-ნი გვარამიძე გურიაში შემნახველ-გამსესხებელ და სხვა ამხანაგობათა გავრცელებასაც „წახედულობას“ მიაწერა. ავ.

## საჭირო განმარტება

უკანასკნელ ხანში ბევრ სხვა და სხვა ტრანსპორტს ადგენს მთავრობა ომის საჭიროებისათვის და, რადგან ტრანსპორტში ჩაწერა ანთავისუფლებს ხალხს ბრძოლის ველზედ გასვლისაგან, მებრძოლ ლაშქარში დანიშვნისაგან, ამიტომ ვისაც-კი ცხენი ან ხარ-კამეჩი მოეპოვება ან შეუძლიან იშოვოს, ყველა ტრანსპორტში ეწერება. ამით ზოგიერთი აგენტები სარგებლობენ და აშინებენ ხალხს: ჩქარა ჩაეწერეთ, თორემ შემდეგში აღარ მიგიღებენო, ან ბევრი მთხოვნელია და დარჩებითო. შეშინებული ხალხი აწყდება აგენტებს და პირობის დაუკითხავად ეხვეწება ტრანსპორტში ჩაწერას. აგენტები კომისიონერობაში პირდაპირ ტყავს აძრობენ საწყალ ხალხს: ტრანსპორტში ჩაწერილი იღებს თვიურად 14 თუმანს. ამ ფულით უნდა გამოჰკვებოს მან თავის-თავი და საქონელიც. თუ საქონელი დაეხოცა რამე მიზეზით, ამნაზღაურებელი არავინ არის, თითონვე უნდა ზღოს. ტრანსპორტში ჩაწერისთანავე ეძლევათ ნახევარი ფული, 7 თუმანი და აი ამ ფულიდან ჩაწერის დროს აგენტები იტოვებენ თითონ სამ-სამ თუმანს, ხელს კი 7 თუმნის მიღებაში აწერინებენ. უნდა იცოდეს ტრანსპორტში ჩაწერის მსურველმა, რომ მან მხოლოდ 2 მანეთიანი მარკის ფული უნდა გადაიხადოს პირობით შეკვრის დროს და სხვა ამაზედ მეტი არც ერთი კაპიკი (ან მხოლოდ რაღაც გროშები, ჩაწერის დროს მიღებულ წიგნაკების ფასი, არა უმეტეს 1 მან.).

საჭიროა ხალხმა ისიც იცოდეს, რომ ზოგი კერძო საქმის მწარმოებელი (ტრანსპორტის დამქირავებელი და მწარმოებელი) 17 თუმანსაც-კი აძლევს ხალხს, ოღონდ ვინმე წავიდოდეს ამ დაცალიერებულ ქვეყნიდან. მთავრობა ორივე ხელით მოებღაუჭება და შეეხვეწება ყველას, ვინც 14 თუმნათ დასთანხმდება, ასე რომ არავითარი საკომისიონერო ფულის გადახდა საჭირო არ არის. აი, ეხლაც 600 ურემზედ მეტი ხარი და ურემი არის საჭირო ახალ-სენაკში 174—175 ტრანსპორტებისთვის და ექესი ურმის მეტი კი ჯერ არსადა სჩანს.

მ. შალამბერიძე.

## გზა და გზა

(შემდეგი)

**ძველი დიდების სარკოფაგები.**

თუ სარკოფაგს სარკოფაგობა ეთქმის, უეჭველია, მთაში ძველ დიდების სარკოფაგად ჩაითვლება ანანურიც.

ანანური!

მარტო ერთი შეხედულობა მის ციხე-კოშკების და დიდებული ტაძრისა რამდენ რამეს არ გეუბნებათ!

ანანური!

ეს მთაში შესასვლელ კარის სალმრთო ბურჯი დღესაც მრავალ მხრით არის საინტერესო. ციხე-კოშკი, არაჩვეულებრივი გეგმა, კოშკების რაოდენადმე დაცვა თხოულობს დაუყოვნებლივ შესწავლას. თვითეული კოშკის დახლართული კიბეები, სანათურები თუ სართულები განსაკუთრებულს ყურადღებას ითხოვს, მოდელების გადაღებას. საინტერესოა თვით ბასეინიც, სადაც წყალს ინახავდნენ, მიწაში გათხრილი ეკლესია, თუ არაგვის ერისთავთს სასაფლაო, რომლის ზემოდაც დადგმულ ძეგლის თაღებში დღემდე უკლებლად არის შერჩენილი ფერადებით ნახატი ძველის-ძველი მხატვრობა.

თვით მთავარი ეკლესია მრავალმხრით არის საინტერესო და შესასწავლი. მისი თაღებისა თუ კარის ჩუქურთმები განსაცვიფრებელ ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ. კედლების ჯვრები და ქანდაკებანი წმინდანთა და ვეშაპებისა, აუარებელი წარწერები მოგიწოდებენ საპატრონოდ.

გრანდიოზული სანახაობაა შიგნიდანაც. კულტუროსანთა ბარბაროსულმა ხელმა წარშალა და კირით შესთითხნა ძველი მხატვრობანი. მიუხედავად ამისა ორს სვეტზე კიდევ შერჩენილა რამდენიმე ხატი.

ამბიონის წინ მარხიან ჩოლოყაშვილნი, მოურავნი არაგვის ხეობისა და ამ ტაძრის აღმდგენელნი. მათი საფლავის ქვებზე საუცხოვო მხედრულით წარწერანი ჟამთა ვითარებისაგან იშლებოდა, კაცი კი არვინ სჩანს ამოიღოს, კედელზე მაინც გააკრას როგორც ისტორიული დოკუმენტი, რომ შთამომავლობას „ქვათა ღაღადით“ ვამცნოთ ამ ტაძრის რაობა და აღმშენებელთა ვინაობა, თუ ვინიცობაა გადატრიალდა დრო და იმ ბედნიერ დღეს შევესწარით, რომ მის საკუთრებაშიდაც შევეცილნენ.

მკითხველის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ვეცდებით ჯერ გარეთა კედლის წარწერა მოვიყვანოთ, რომელიც გვახედებს ტაძრის რესტავრაციის ისტორიაში. აი ესეც:

„ქი წყევისა დამხსნელო და ადამ პირველისა, მამისა ჩვენისა სამოთხედვე შემყვანებელო, ასულო ემმანუილისაო და მამისა ადამისა უთესლოდ დამბადებელო, მღვთისა კაცთა მომართ გადმოსვლისა მიზეზო და კაცთა ბუნებისა ქვეყანით ზეცად აღმოყვანებულო, ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო ემმანუილისაო, რომელმან ნებითა-შეწევნითა შენითა აღვაშენე არაგვის ერისთავის შვილმან მდივანბეგმან პატრონმან ბარძიმ თვისისა საუფლოსა ამისა ანანურისა ღვთისმშობლისა საფუძველითურთ შენებად. მრავალთა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი და მე წინამდგომელი თვისი ბალსარას შვილი ბოქოულთ ხუცესი ქაიხოსრომ დამადგინა წმინდასა ამას მონასტერსა ზედან სარქადა და უწყის ღმერთმან რაც შეძლება მქონდა დღივ და ღამ მოუსვენებლად ვაშრებოდი. არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა, ვიდრემდის განასრულებენ მონასტერსა ამას. ანანურის ღვთისმშობელო, შენ მცველმფარველ მექმენ მე სოფელსა ამას შინა კეთილად ცხოვრებით და სინანულითა და საუკუნოსა ასმინე ხმა იგი საწადელი. ვითარმედ მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრე შენთვის გამზადებული სასუფეველი და ღირს-მყავნ მე ცოდვილი ნაწილსა მას მართალთა სამკვიდრებელად საუკუნეთა საუკუნესა მის ამინ. ვინც წაიკითხოთ შენდობას ბრძანებდეთ თქვენცა ღმერთმან თქვენც შეგინდოთ.

ქორონიკონსა ტოზ—წელსა“.

სტილისა და შინაარსის მხრით ფრიად საინტერესოა თვით ტაძრის აღმდგენელ ჯინშერ ჩოლოყაშვილის საფლავის ქვის წარწერა გახლავთ. წარწერა იგი საკმაოდ დაცულია, წარუშლელი და აი, სწორედ ამიტომ ეხლავე უნდა ვიზრუნოთ იგი სამუზეუმოდ შევინახოთ და მის მაგიერ სხვა დავადვათ.

საფლავის ქვათა გარეშე ეს ეკლესია მდიდარია თვის ხატებით, ვერცხლისა და ოქროს ხატთა საუცხოვო კაზმულობა აღწერის ნაცვლად მოითხოვს ფოტოგრაფიულს სურათს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვარდგენთ აპარატის უქონლობისა გამო. მათს შორის ყველაზე საყურადღებოა კვირიკეს ხატი. ეს წარმოადგენს მაცხოვრის ხატს. აქეთ-იქით ფრთოსანი ცხოველებია. დამინაქრებული წმ. გიორგი და სხვა. ასევე საინტერესოა მეორე ღვთისმშობლის ხატი, ვერცხლის ჯვარი საუცხოვო ჩუქურთმით, წარწერებით, უძველესი ბერძნული სტილის ორნამენტაციით.

მხატვრობიდან უთოოდ რომ გადმოსაღებია ორ სვეტზე შერჩენილი დავითისა და კოსტანტინეს სურათი. აქ მარტო ქართული სახის მეტყველება კი არა, ოვით სამოსიც არის საყურადღებო. ფერთა ტონები ბიზანტიურის სტილით და მორთულობით.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას ანანურის ტაძარზე და გარს შემორტყმულ ციხე-კოშკზე, მაგრამ დიად შთაბეჭდილების ანარეკლის გადმოსაცემად ესეცა ჰკმარა. სარკოფაგი იგი დღესაც მარჯვედ სდგას. საბედნიეროდ ქართა და წარღვნად ჯერ მედგრად ებრძვის და თუ თქვენც არ დაიზარებთ მის ნახვას და მისალმებას, იგიც სიხარულის ცრემლებით მოგეგებათ, ალერსზე ალერსით გიპასუხებთ და საიდუმლოს მადლობით ბევრზე ძალიან ბევრს რამეზე აგაცრემლებთ თავისთან ერთად. ოღონდ ამისთვის საჭიროა სათუთი დედა-შვილური გრძნობა, შეგნება, უბიწო განცდა.

ნეტავ შევძლებთ ცოდვათა ჩამობერტყვას, განბანვა-განათვლას და დამარხულ დიდების სარკოფაგთა მუხლ-მოდრეკით დათვალიერებას? თუ შესძლვბთ, გზა დამილოცნია. აუშვით აფრა, გაეშურეთ და განიწმინდეთ!..

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)

## დაბა-სოფლები

**პატარძეული.** 30 თიბათვეს სოფლის კანცელარიასთან თავი მოეყარა ჯარში გაყვანილების მანდილოსნებს და თავისიანებისაგან წერილების მოლოდინში იყვნენ. კანცელარიაში მამასახლისი, მწერალი და სხვანი ჩვეულებრივათ შეექცეოდნენ. ფოსტა მოიტანეს. მანდილოსნები მოუთმენლად მიესივნენ. კანცელარიის მწერალმა დაუტია: ჯერ თქვენთვის არა გვცალიან, გაგვეცალეთო და საწყალი, გულდათუთქული ხალხი უკან გაბრუნეს. თვითონ კი უდარდელად განაგრძობდნენ ქეიფს.

საჭიროა მეტი გულმტკივნეულობა და მოვალეობის შეგნება ჰქონდეთ სოფლის მოხელეებს.

—

**ს. ბაზალეთი** (დუშეთის მაზ.). მკათათვის პირველში შესრულდა ერთი წელიწადი, რაც სოფელ ბაზალეთმა გახსნა მომხმარებელი მაღაზია „ბაზალეთი“. ბაზალეთი მგონი ხმას იღებს. კარგა ხანია მ. ღ. ვასილ მოლოდინი ხშირათ გვიამბობდა: ხალხო, კარგი იქნება ერთი სასოფლო მაღაზია გავხსნათო. მაგრამ ხალხი ყურადღებას არ ვაქცევდით. მხოლოდ დავპირდებოდით, მაგრამ შემდეგ სხვას ვლაპარაკობდით.

ბაზალეთის მღვთის-მშობლის ეკლესიასთან წირვის დროს უკანასკნელად მიგვიწვია კრებაზე და გადმოგვცა თამარ დედოფლის დროინდელი ცხოვრება, თუ რანი ვიყავით და დღეს რანი ვართ. ეს დღე იყო, ის დილა, რომ სოფელ ბაზალეთს ეღირსა დიდებული საქმე. ბევრმა კიდევ დაიწყო ზლაზვნა და უკან წევა, მაგრამ მღვდელმა შეჰფიცა ხალხს: ნუ გეშინიათ, თუ წავაგეთ, ხალხო, ჩემი სახლები და მამული ბელგად იყოს სოფელთანაო.

შუშიაშვილებმა და ლალიაშვილებმა საწევრო გადასახადი მაშინვე შეიტანეს, რომ საქმე წინ წასულიყო.

დიდ გაჭირვებაში არიან ბაზალეთლები. ეს უზარმაზარი ტყე-მინდვრები სულ მებატონეების ხელშია. ტბაც ასეთვეა. ბაზალეთს მარტო პატარა სახაზინო სახნავი ნაწილი უჭირავს.

ის ვაჟბატონები, რომლებიც უნდო თვალით უცქეროდენ საამხანაგო საქმეს, დღეს ატუზულები მოდიან ამხანაგობასთან: მიმიღეთ, მეც თქვენი ძმა ვარო! ეს მაღაზია რო არ გაგვეღო, განა რა დღეში უნდა ვყოფილიყავით კერძო ჩარჩებისაგან?

ბაზალეთელი გლეხი.

—

**თელავი.** რომ იტყვიან „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო“ სწორედ თელავზე და მის ვაჭრებზეა ნათქვამი. ადამიანი ვერ მოსთვლის ამათ ოინბაზობას. ხედავენ რომ ქალაქის მამები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მათ გაიძვერობას და ისინიც ყირთამალა გადადიან მამების ცხვირწინ.

ამ რამდენიმე დღის წინად აქაც დაურიგეს მოვაჭრეებს ნიხრი; ჩვენც ცოტაოდენი იმედი მოგვეცა და ვიფიქრეთ, რომ არ დაარღვევდნენ თბილისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ ნიხრს და იმისდა მიხედვით ნაკლებ ფასებში შეგვეძლებოდა სანოვაგის და სხვა საგნების ყიდვა, მაგრამ მწარეთ მოვსტყუვდით, რადგანაც სულ წინააღმდეგი დავინახეთ. ნიხრის მიღების უმალვე საქონელი გადამალეს ვაჭრებმა, ნიხრი კიდევ ისეთ უჩინარ ადგილას მიაკრეს ზოგიერთებმა, რომ მუშტარი ადვილათ ვერ წაიკითხავს, ზოგმა ისიც დაკეცა და დამალა. ეხლა მუშტარი შედის რისამე საყიდლათ, მაგრამ ისევ ცარიელი გამოდის, რასაც ჰკითხავს არა აქვთ, თუ ძალიან კაი მეგობარი შეხვდათ შეიძლება იმას მიჰყიდონ. დიდი ხათრით ყველი 70-80 კ., გირ. ერბო 1 მ. 30 კ., სარეცხის საპონი 65-70 კ., ბრინჯი 25-30 კ. ყველა ამას თვალით ხედავენ, ესმით ქალაქის მამებს და არამც თუ რამე ღონეს არ ღონობენ ამათ წინააღმდეგ, არამედ ისინი უფრო ხელს უწყობენ და ასარგებლებენ ვაჭრებს, აი ამის საბუთიც:

ნიხრის დარიგების მეორე დღესვე დილით, გამობრძანდა ბაზარში რამდენიმე თვის წინ ყავლ-შესრულებული და ახლად ამოურჩეველი ქალაქის თავი ბ-ნი მ. თათუზოვი, დაუძახა „ბაზარნიკს“, პოლიციელებს და იმათი თანხლებით ჩამოუარა იმ ბეჩავ სოფლის დედაკაცებს, რომელნიც 4—5 ვერსით დაშორებულ სოფლებიდგან ეზიდებიან სანოვაგეს აქ გასაყიდათ და ცოტა ნაკლებაც ჰყიდიან, მაგრამ ეს ცოტა არ აკმარეს. რა დაინახეს ქალაქის თავის განზრახვა, შეიყარნენ ვაჭრები, შეუერთდნენ იმათ და იმათი დახმარებით ყიდულობდნენ, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, ხელიდგან ძალით გლეჯავდნენ დედაკაცებს რაც მოხვდებოდათ —ქათმებს, კვერცხებს, კიტრს, ლობიოს და სხვას. მარტო ერთმა ყველაზე მეტად გაუმაძღარმა მოვაჭრემ ა. აბულოვმა 30-დე ქათამი იყიდა 50 კაპ. მარტო იმ დღით არ გათავდა ამ გვარი ვაჭრობა, მას აქეთ ათი დღე იქნება რაც ყოველ დღე ჩვენი „ბაზარნიკის“, ამ მოვაჭრეთ ლაქიის, ა. სიმონოვის (კოტიტას) წინამძღოლობით სწარმოებს ასეთი ვაჭრობა მარტო დედაკაცებში. საკვირველია სწორეთ, ნუ თუ მარტო იმათთვის გააკრეს ნიხრი და ვაჭრებს არ შეეხებათ?!

ვაჭრების მეგობარი.

## წერილი რედაქციისა და საზოგადოების მიმართ

აგერ ერთ წელზე მეტია, რაც ჩემი შვილი კალისტრატე ვაშალომიძე ავსტრო-გერმანიის ფრონტზე უგზო-უკვლოთ დაიკარგა და ყოველი ჩემი ცდა მის შესახებ ამბის გაგებისა ამაო დარჩა. ახლა მივმართავ კეთილ ხალხს— სტუდენტებსა და სამხედრო პირებს— იქნება გამიგონ რაიმე ჩემი შვილის შესახებ. ის მსახურობდა 130 херсонскій пѣхотный полкъ-ში, მესამე როტაში, მე-21-ე კორპუსში. წინდაწინვე მადლობას ვუცხადებ შეწუხებისთვის. ჩემი ადრესი: Сел. Шемокмеди, Озургетскаго уѣзда Кутаис. губ. Симону Вашаломидзе.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადამიბეჭდონ.

პატივისცემით **სიმონ ვაშალომიძე.**

—

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთით მომცეთ საშვალება განვაცხადო შემდეგი:

ჩემი ძმა, **ნიკო (მილორსი) ამბაკოს ძე გუჯაბიძე** ირიცხებოდა მომქმედ ჯარში—ავსტრიის ფრონტზე (44 ქვეითი—კამჩატსკის პოლკში, მე-12-ე როტაში). ბრძოლის ველიდან მისი ამხანაგები მატყობინებენ, რომ ის დაჭრილა შუბლში ყუმბარის ნატეხით 23 მაისს. 24 მაისს ის წაუყვანიათ რუსეთში საექიმოთ, მაგრამ რომელ ქალაქში კი, ეს არ იციან. ბევრს ვეცადე დღემდე გამეგო რაიმე—ცოცხალი იყო თუ მკვდარი, სად რომელ ქალაქში, რომელ ჰოსპიტალში იწვა ან წევს, მაგრამ დღემდის არაფერი ვიცი. ახლა უმორჩილესად ვსთხოვ და ვევედრები ყველას, თუ ვინმემ რაიმე იცის ჩემი ძმის, ან გაიგოს, საჩქაროდ მაცნობოს ქ. სოხუმში, ქართულ კიოსკ—„დიოსკურია“-ში.

პატივისცემით **პრ. გუჯაბიძე.**

P. S. ვსთხოვ გაზეთ „სახალხო ფურცელს“ და „თანამედროვე აზრს“ ნუ დამამადლიან და გადაბეჭდონ ეს წერილი თავიანთ გაზეთში. პ. გ.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში „ქართულ პრესაში“ მოყვანილი წერილი ქართველ გრიგორიანთა შესახებ ამოღებულია გაზეთ „სამშობლოდან“, რაიც შეცდომით არ იყო აღნიშნული.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 7 | „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 7 | „ 58 | „ საღ. |

## თუ გსურთ, მიმართეთ
ცნობების კონტორას
## ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჰრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასშ
## საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელააანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
## კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———
(185—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
## „განათლება“-ში
**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „უმუშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.